საქმე №2/251-19

5027133969777

www.info.court.ge

განჩინება

საქართველოს სახელით
კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

05.04.2019 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე თამარ ჭუნიაშვილი
სხდომის მდივანი მარიამ ჩიტოშვილი

განმცხადებელი - შემოსავლების სამსახური

მოვალე - შპს ,,ნიუსტარი“
(საიდენტიფიკაციო კოდი 404960556)
დირექტორი - სერგო კაპანაძე
წარმომადგენელი - გიორგი ზედგინიძე

მეურვე - აღსრულების ეროვნული ბიურო
წარმომადგენელი - თამთა მაჭარაშვილი

მოთხოვნა - შპს ,,ნიუსტარის“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება

სასამართლომ ზეპირი მოსმენით განიხილა კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი და

გამოარკვია

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განხილვაშია შპს ,,ნიუსტარის“ გადახდისუუნარობის საქმე.

2019 წლის 5 აპრილის კრედიტორთა პირველ კრებაზე სრულად ვერ იქნა

განხილული დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, კრედიტორთა პირველი კრების ხანგრძლივობაა არა უმეტეს 7 სამუშაო დღისა. კრედიტორთა უბრალო უმრავლესობის არგუმენტირებული წერილობითი თხოვნის საფუძველზე მოსამართლეს შეუძლია ამ ვადის გაგრძელება არა უმეტეს 3 დღით.

სასამართლომ იხელმძღვანელა ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-9, 25-ე, 27-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285 მუხლებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კრედიტორთა პირველი კრება გაგრძელდეს 2018 წლის 22 აპრილს 16:30 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.) სხდომის დარბაზი №51, შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. კრედიტორთა მოთხოვნების აღიარების შესახებ;

1.2. მომრიგებელი საბჭოს წევრების არჩევა.

2. განჩინება გამოქვეყნდეს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, სასამართლოს დაფაზე და ვებგვერდზე www.tcc.gov.ge.

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან 5 დღის ვადაში კერძო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

მოსამართლე **თამარ ჭუნიაშვილი**

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2019.04.12 15:36:18 +04'00'